კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2024

აბსტრაქტი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა დამოკიდებულების შესწავლას კოლეჯის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის მიმართ.

სარჩევი

შესავალი 3
კვლევის მეთოდოლოგია 3
ეთიკური მოსაზრებები 3
მონაცემთა ანალიზი 3
ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 9

შესავალი

წინამდებარე კვლევის ანგარიში წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზს, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმირებულობის დონის და გამოცდილების შეფასებას სასწავლო პროცესთან, ადმინისტრაციულ საკითხებთან, კარიერულ განვითარებასა და ზოგადად კოლეჯის გარემოსთან დაკავშირებით. კერძოდ, კვლევის ანგარიში მოიცავს 58 რესპონდენტიდან მიღებული მონაცემების ანალიზს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორიცაა პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობა შიდა რეგულაციებზე, ჩართულობა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში და კოლეჯში არსებული ინფრასტრუქტურის შეფასება. მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ძლიერი მხარეები, გამოწვევები და შევიმუშაოთ რეკომენდაციები პროცესების გასაუმჯობესებლად და პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე უკეთ რეაგირების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო კითხვარი, რომლიც მოიცავდა ძირითადად დახურულ კითხვებს და შედგებოდა რამდენიმე თემატური მოდულისგან/ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებული იყო რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, თუმცა კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებაც ეძლეოდა.
გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონულად, Google Forms-ის მეშვეობით.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებული იყო ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- თითოეული პროფესიული სტუდენტისგან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

მონაცემთა ანალიზი

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 58 რესპოდენტმა, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციის ტექნოლოგიის, საექთნო საქმის და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტებს.
კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ გამოკითხვაში მონაწილე პროფესიულ სტუდენტთა თითქმის ნახევარი (46.6%) სწავლობს საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, 17.2% - ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე. გამოკითხულ რესპოდენტთა თითქმის ნახევარი (46.6%) 26-35 წლის ასაკობრივ დიაპაზონშია, ხოლო ყველაზე მცირე ჯგუფს უფროსი ასაკის ჯგუფები (36-50 და >50) შეადგენენ.
პროფესიულ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (89.7%) აცხადებს, რომ იცნობს მათსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს. ეს მაჩვენებელი მიუთითებს კოლეჯის ეფექტურ მუშაობაზე სტუდენტთა ინფორმირებულობის კუთხით, რაც საფუძველია გამჭვირვალე და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის.

დაიგრამა #1 - იცნობთ თუ არა თქვენსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს?



კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობის ჭრილში, სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის პირობებთან დაკავშირებით, რის შესახებაც რესპონდენტთა თითქმის 95% აცხადებს, რომ სრულად იცნობს აღნიშნულ პროცედურებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მსგავსი პირობების ცოდნა იცავს პროფესიულ სტუდენტებს არასასურველი შედეგებისგან და ეხმარება მათ, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება სწავლასთან დაკავშირებით.

დიაგრამა #2 - იცნობთ თუ არა სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის პირობებს?



მობილობის პირობების ცოდნა ასევე მაღალ დონეზეა, რადგან რესპონდენტთა 93.1% აცხადებს, რომ იცნობს როგორც შიდა, ისე გარე მობილობის პირობებს. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია, რადგან მობილობის შესაძლებლობების ცოდნა პროფესიულ სტუდენტებს აძლევს მოქნილობის შესაძლებლობას და არჩევანის თავისუფლებას, რაც ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ

განვითარებას. იმის ცოდნა, თუ როგორ შეიძლება შეიცვალო პროგრამა ან დაწესებულება, ამცირებს სწავლასთან დაკავშირებულ სტრესს და საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტებს, დაგეგმონ თავიანთი საგანმანათლებლო საქმიანობა მათი საჭიროებების შესაბამისად.

დიაგრამა #3 - ითნობთ თუ არა შიდა და გარე მობილობის პირობებს?



გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტთა 89.5% ასევე ინფორმირებულია იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც მოქმედებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში. ეს მონაცემი, მცირედით ჩამოუვარდება წინა კითხვების მაჩვენებლებს, თუმცა მაინც ხაზს უსვამს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ხარისხს. ამგვარი ინფორმაციის ფლობა უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სიმშვიდეს და სტაბილურობის განცდას, რადგან მათ იციან, რომ ფორსმაჟორული სიტუაციების დროსაც კი, მათი საგანმანათლებლო გზა არ შეწყდება. 10.5%-იანი "არა" პასუხი შეიძლება მიუთითებდეს კომუნიკაციის მცირე ხარვეზზე, რომელზეც კოლეჯს შეუძლია იმუშაოს ინფორმირებულობის კიდევ უფრო გასაზრდელად.

დიაგრამა #4 - იცნობთ თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმებს?



სწავლის შედეგების დადასტურების/შეფასების პროცედურების ცოდნა რეკორდულად მაღალი მაჩვენებლით – 98.3%, გამოირჩა. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან პროფესიულმა სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, როგორ ხდება მათი აკადემიური მიღწევების შეფასება. მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სრულ გამჭვირვალობას შეფასების სისტემასთან მიმართებით და აღნიშნული შედეგები, ასევე, შეიძლება მიუთითებდეს, რომ შეფასების

კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია აქტიურად და რეგულარულად მიეწოდებათ პროფესიულ სტუდენტებს მოდულების ფარგლებში. ასევე, პროფესიული სტუდენტები არა მხოლოდ იცნობენ შეფასების სისტემას, არამედ იციან, როგორ დაიცვან თავიანთი უფლებები და გაასაჩივრონ მიღებული შედეგები, თუკი ამის საჭიროება იქნება (96.6%).

დიაგრამა #5 - იცნობთ თუ არა კოლეჯში მოქმედ სწავლის შედეგების დადასტურების/შეფასების პროცედურებს?



გამოკითხულ რესპოდენტთა 71.9% მონაწილეობდა თემატურ ექსკურსიებში/ვიზიტებში ორგანიზაციებსა და საწარმოებში. ეს არის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რადგან ასეთი აქტივობები პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში მოქცევაში, მომავალი სამუშაოს სპეციფიკის გაცნობაში და პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებაში. 21.1%-იანი "არა" პასუხი მიუთითებს, რომ კოლეჯს აქვს გარკვეული რეზერვი ამ მიმართულებით აქტივობების გაფართოებისთვის ან მათი ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, რათა კიდევ უფრო მეტმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს ამ შესაძლებლობების გამოყენება. აქვე, აღსანიშნავია რომ დარგის წარმომადგენლებთან/პროფესიონალებთან შეხვედრების მაჩვენებელი უკიდურესად მაღალია (98.3%). ეს მონაცემი ხაზს უსვამს კოლეჯის აქტიურ ჩართულობას ინდუსტრიასთან თანამშრომლობაში, რაც მნიშვნელოვანია პროფესიული განათლებისთვის. ასეთი შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, უშუალოდ გაეცნონ დარგში არსებულ ტენდენციებს, მოთხოვნებს, მიიღონ ღირებული რჩევები და შესაძლოა, დაამყარონ კონტაქტები მომავალი დასაქმებისთვის. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიულ ორიენტაციას და ეხმარება უკეთ მოემზადონ შრომის ბაზრისთვის.

დიაგრამა #6 - განხორციელებულა თუ არა შეხვედრები დარგის წარმომადგენლებთან/ პროფესიონალებთან?



დასაქმების ფორუმებში მონაწილეობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (75.9%) ფიქსირდება და მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებას და კარიერულ განვითარებას. დასაქმების ფორუმები პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, შეხვდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს, გაეცნონ ვაკანსიებს, გაიარონ გასაუბრებები და გააფართოონ პროფესიული კონტაქტები. 17.2%-იანი "არა" პასუხი კი იმაზე მიანიშნებს, რომ მიუხედავად მიღებული შედეგებისა, კვლავ არსებობს შესაძლებლობა, გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ამ ღონისძიებებში. პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრების მაჩვენებელი კარიერის მართვის საკითხებზე 87.9%-ია.

დიაგრამა #7 - გქონიათ თუ არა შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან კარიერის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე?



გამოკითხულ რესპოდენტთა ჩართულობა არაფორმალურ აქტივობებში, როგორიცაა კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები, საკმაოდ მაღალია. კერძოდ, რესპონდენტთა 77.6% დადებითად პასუხობს ამ კითხვას. მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გართობის და სოციალიზაციის თვალსაზრისით, არამედ აკადემიური სტრესის შემცირების, ახალი უნარების შეძენისა და თანამშრომლობის გაძლიერებისთვის. 19%-იანი "არა" პასუხი გვაძლევს სივრცეს იმის გასაანალიზებლად, თუ რატომ არ მონაწილეობს სტუდენტთა ნაწილი ასეთ აქტივობებში – ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დროის დეფიციტით, ინფორმირებულობის ნაკლებობით ან შეთავაზებული აქტივობების მათ ინტერესებთან შეუსაბამობით.

პროფესიული სტუდენტები ხაზს უსვამენ მათი ინიციატივების მხარდაჭერის ფაქტს დაწესებულების

მხრიდან. უმრავლესობა მიმართავს პროგრამის კოორდინატორს, ხოლო მცირე ნაწილი - ადმინისტრაციულ ერთეულებს (დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დირექტორის მოადგილე).

დიაგრამა #8 - ვის მიმართეთ აღნიშნული პროექტის განხორციელების ინიციატივით?



საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის მიღების მაჩვენებელი ძალიან მაღალია – 94.7%. ეს მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას და მათთვის ხელმისაწვდომია საკონსულტაციო სერვისები სხვადასხვა საკითხზე (აკადემიური, კარიერული).

დიაგრამა # 9 - საჭიროების შემთხვევაში, გაუწევიათ თუ არა კონსულტაცია თქვენთვის საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომდგენლებს?



ინფრასტრუქტურის შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხისა და პროფესიულ სტუდენტთა კეთილდღეობის გააზრებისთვის. კერძოდ, შეფასებულია სამედიცინო კაბინეტის არსებობა და მისი მომსახურება, გათბობის სისტემის ფუნქციონირება ზამთრის პერიოდში და სანიტარული ნორმების დაცვა.

პროფესიულ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (89.7%) ადასტურებს, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი ან შესაბამისი სივრცე. ეს არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. პროფესიულ სტუდენტთა თითქმის 90% ადასტურებს სამედიცინო კაბინეტის (სივრცის) არსებობას, მათ შორის მისი მომსახურებით სარგებლობის მაჩვენებელი 3.6%-ია.

კვლევის შედეგების მიხედვით, ყველა გამოკითხული რესპოდენტი (100%) აცხადებს, რომ ზამთრის პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულება თბება. ის ფაქტი, რომ არცერთმა პროფესიულმა სტუდენტმა არ მიუთითა "ხდება, მაგრამ არ არის საკმარისი", ხაზს უსვამს გათბობის სისტემის სრულ შესაბამისობას პროფესიულ სტუდენტთა მოლოდინებთან.

პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე პირდაპირ აისახება სანიტარული ნორმების დაცვა და უსაფრთხო და ჰიგიენური გარემო. გამოკითხულ რესპოდენტთა აბსოლიტური უმრავლესობა (96.6%) მიიჩნევს, რომ კოლეჯში დაცულია სანიტარული ნორმები.

დიაგრამა #10 - დაცული არის თუ არა კოლეჯში სანიტარული ნორმები?



ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

გამოკითხვის შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი მიგნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობის დონის, სხვადასხვა ტიპის აქტივობებში ჩართულობისა და კოლეჯის ინფრასტრუქტურის შესახებ და გავცეთ რეკომენდაცია შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ:

- კოლეჯის ინფრასტრუქტურა და გარემო პროფესიული სტუდენტების მიერ ძირითადად დადებითად არის შეფასებული. სამედიცინო კაბინეტის არსებობა, ადეკვატური გათბობის სისტემა და სანიტარული ნორმების დაცვა ხაზს უსვამს დაწესებულების ზრუნვას სტუდენტთა ჯანმრთელობასა და კომფორტზე.
- დაწესებულება აქტიურად და მრავალმხრივ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, როგორც აკადემიური, ისე კარიერული და სოციალური განვითარების მიმართულებით. ეს მხარდამჭერი ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტთა კმაყოფილების, მოტივაციისა და წარმატების უზრუნველყოფაში.
- კვლევამ აჩვენა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტები მაღალ დონეზე არიან ინფორმირებულნი კოლეჯის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებსა და პროცედურებზე. სტუდენტთა

აბსოლუტური უმრავლესობა (89.5%-დან 98.3%-მდე) სრულად ფლობს ინფორმაციას ხელშეკრულების პირობებზე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის, პროგრამის ცვლილების/გაუქმების, შეფასებისა და აპელაციის პროცედურებზე. ეს შედეგები ხაზს უსვამს დაწესებულების ღიაობას, გამჭვირვალობასა და ეფექტურ კომუნიკაციას სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით.

- გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემებით იკვეთება, რომ კოლეჯმა უნდა გააფართოვოს პროფესიულ სტუდენტებში ინფორმირების დონე/ხარისხი სხვადასხვა ტიპის აქტივობების შესახებ, მათ შორის დასაქმების ფორუმების შესახებ. ასევე, გაზარდოს პროფესიულ სტუდენტთა დაინტერესება, ჩაერთოს თემატურ ექსკურსიებსა თუ ვიზიტებში ორგანიზაციებსა და საწარმოებში.